ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ჩხოროწყუს
მუნიციპალიტეტის
საკრებულო
✉5000საქართველო, ჩხოროწყუ,
დ. აღმაშენებლის ქ. №1
☎ 0(417) 22-01-28.

G e o r g i a
Chkhorotsku
Municipality
Council
✉5000Georgia, Chkhorotsku,
D. Agmashenebeli st. #1
☎ 0(417) 22-01-28.


# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №3

2017 წლის 6 თებერვალი
დ. ჩხოროწყუ

**„ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, ოდენობის განსაზღვრისა და გადახდის წესის ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 4 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულომ **დაადგინა:**

**მუხლი 1.**
„ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, ოდენობის განსაზღვრისა და გადახდის წესის ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 4 იანვრის №1 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 11/01/2016, სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.107.016203) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი №5-ის მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 4. მოსაკრებლის განაკვეთები**
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის განაკვეთების დიფერენცირება ხდება სათამაშო ბიზნესის სახეობის მიხედვით და განისაზღვრება:
ა) თითოეულ სამორინეს მაგიდაზე – კვარტალში 20 000 ლარით;
ბ) თითოეულ სათამაშო აპარატზე – კვარტალში 2 000 ლარით;
გ) თითოეულ წამახალისებელ გათამაშებაზე – საპრიზო ფონდის 10%;
დ) სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილ თამაშობაზე – კვარტალში 250 000 ლარით;
ე) ლატარიების მოწყობაზე – ლატარიის ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების 20%;
ვ) აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვით ორგანიზებული ობიექტის გარეთ განთავსებული, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის თითოეულ სალაროზე – კვარტალში 5 000 ლარით.“.

**მუხლი 2.**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გაგრძელდეს 2017 წლის პირველი იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

საკრებულოს თავმჯდომარე /ზესიკ ესებუა/